

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №37

10 დეკემბერი 2020 წელი

შემსყიდველი: სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი გარსიძის** სახით;
მისამართი: ქ.თბილისი, თემქის დას. მე-4 მ/რ.;
საიდენტიფიკაციო კოდი: 200007884;
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“, კოდი: LBRTGE22, ა/ა: GE80LB0121158443341000

მიმწოდებელი: შპს „გურიაშენი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის **აკაკი სალუქვაძის** სახით;
იურიდიული მისამართი: ოზურგეთი, ლიზაურის მე-3 ქ N36;
საიდენტიფიკაციო კოდი: 437067978;
საბანკო რეკვიზიტები: სს „თი ბი სი ბანკი“, კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE05 TB78 9423 6080 1000 11.

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, **NAT200017297** ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT) შედეგად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
- 1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება.
- 1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის ფარგლებში შენობაში არსებული ცენტრალური გათბობის სისტემის შეკეთება/რეაბილიტაციის სამუშაოების მომსახურების შესყიდვა, დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართი №1-ში, *(CPV:50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება, 50720000 - ცენტრალური გათბობის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)*

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
- 3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **17 416.99** (ჩვიდმეტი ათას ოთხას თექვსმეტი ლარი და 99 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
- 3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასები და რაოდენობა მოცემულია ხელშეკრულების დანართი №1-ში;
- 3.4. დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში.**

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

- 4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას;
- 4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან შეათანხმოს მასალების იერსახე და ხარისხი.

მუხლი 5. გასაწევი მომსახურების ვადა

მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მაქსიმუმ 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში, არაუგვიანეს 2020 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება გაფორმდება ერთიანად, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში, საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე;

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;

6.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის უფლება ენიჭება სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს **გიორგი გარსიძეს**. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ერთიანად მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე.

7.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, სამუშაოების შესრულება დაადასტუროს, ტენდერით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში დოკუმენტით, კერძოდ: – ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, ან/და სხვა აკრედიტირებული პირის ან/და აუდიტის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნით (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი).

7.3 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;

7.4 საავანსო გადახდა არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;

8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.

8.2 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;

8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

8.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8.3.2 ხარისხიანად და კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;

8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასაც აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;

8.3.4 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;

8.3.5 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.

8.4 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია;

8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულები-საგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1. „შემსყიდველის“ წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის აღმოფხვრა;

10.3. ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი ვაჟა ცხვარიაშვილი, რომელიც დაწერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ, დასკვნის საფუძველია ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებული მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი.

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2021 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. გარანტია

შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 2 (ორი) წელს, ობიექტის საბოლოო მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

მუხლი 17. სხვა პირობები

17.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

17.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

17.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

17.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

17.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

17.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

17.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

17.9 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, მხარეების მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელისმოწერა ან შტამპი;

17.10 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 18. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა,
წარმოდგენილი სკოლა

მიმწოდებელი:

შპს „გურიამშენი“

გიორგი გარსიძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი სალუქვაძე

დირექტორი

შენიშვნის მოწყობის სამუშაოები

საფურცელი: დოკუმენტი აქტი
 შეფასების 2020 III კვ. ობიექტი

სახარჯთაღრიცხველი დირექტუბა
 მათ შორის ხელფასი

17,416.99 ლარი
 3,480.52 ლარი

№	საფურცელი	ს ა მ უ შ ა ო თ ა დ ა ს ა ხ ე ე ჯ ბ ა	განხ.	ნორმატიული რესურსი		მასალა		ხელფასი		მექანიზმები		ჯამი
				ერთ.-ზე	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1. გათბობა												
1	16-24-3	მინაბოქოვანი პლასტმასის მიღები დ=250მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: მინაბოქოვანი პოლიეთილენის მიდი დ=250მ სხვა მასალა	გრძმ კაც/სთ ლარი		4.00 4.68 0.0172			6.00	28.08		4.20 0.29	28.08 0.29
2	16-24-4	მინაბოქოვანი პლასტმასის მიღები დ=320მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: მინაბოქოვანი პოლიეთილენის მიდი დ=320მ სხვა მასალა	გრძმ კაც/სთ ლარი		4.00 6.24 0.0217			6.00	37.44		4.20 0.36	37.44 0.36
3	16-24-7 საბაზრ	მინაბოქოვანი პლასტმასის მიღები დ=750მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: პლასტმასის მიღები, დ=750მ სხვა მასალა	გრძმ კაც/სთ ლარი		2.00 2.80 0.0472			6.00	16.80		4.20 0.40	16.80 0.40
4	16-12-2	ბურო, პლასტ. ვერტიკალი მონტაჟი დეარბზე სარდაფში დ=250მ (ცხ. წყლის), 320მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა:	ცალი კაც/სთ ლარი		56.00 149.52 0.29			2.70	403.70		4.20 68.21	403.70 68.21
5		ბურო, პლასტ. ვერტიკალი დ=250მ ბურო, პლასტ. ვერტიკალი დ=320მ სხვა მასალა	ცალი ცალი ლარი		28.00 28.00 0.2	8.00 10.00 3.00	224.00 280.00 33.60					224.00 280.00 33.60
6		პლასტმასის ფასონური ნაწილები 25.320მ	ცალი		10.00	1.00	10.00					10.00
7		პლასტმასის ფასონური ნაწილები (დ=750მ)	ცალი		4.00	10.00	40.00					40.00
8		ახალი დ=750მ პლასტმასის მაგისტრალის მონტაჟი მველ წლილზე მეორე კორპუსში	წერტილი		4.00	20.00	80.00	20.00	80.00			160.00
9	16-12-1 საბაზრ	დ=200მ დამკვლავების მოწყობა სარდაფში შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: ბურო, პლასტ. ვერტიკალი დ=200მ სხვა მასალა	ცალი კაც/სთ ლარი		3.00 4.53 0.13			6.00	27.18		4.20 1.64	27.18 1.64
10	16-22	სისტემის პილარული კაბოცდა შრომის დანახარჯები	ერთჯ. ერთჯ.		1.00 1.00	5.00 3.00	15.00 0.63	100.00	100.00			100.00
ჯამი							750.01		693.20		70.90	1,514.11
ზედნაღები ხარჯები				12%			90.00		83.18		8.51	181.69
ჯამი							840.01	-	776.39	-	79.40	1,695.80
მოგება				8%			67.20		62.11		6.35	135.66
ჯამი 1							907.21	-	838.50	-	85.76	1,831.47
2. სექციების მოწყობილობა												
1	9-32-12	არსებული რკინის მილების ურდულუბის, კონსტრუქციის დემონტაჟი დასაწყოებში შრომის დანახარჯები სხვა მანქანა ელექტროდი სხვა მასალა	ტ კაც/სთ ლარი		0.20 32.28 14 12.2 1.39	0.20 6.46 2.80 2.44 0.28		6.00	38.74		4.20 11.76	38.74 11.76 24.40 0.83
2		არსებული მიმუშავებული ფილაის ქვების პროფილაქტიკა	კომპლ		2.00			50.00	100.00			100.00
3		არსებული მიმუშავებული ხანოურის პროფილაქტიკა	კომპლ		1.00			50.00	50.00			50.00
4		არსებული ტუმბოს დემონტაჟი დასაწყოებში	კომპლ		1.00			10.00	10.00			10.00
5	18-6-1	არსებული საფართობი ავზის დემონტაჟი, შრომის დანახარჯები სხვა მანქანა	კომპლ კაც/სთ ლარი		1.00 5.32 0.308	1.00 5.32 0.31		6.00	31.92		4.20 1.29	- 31.92 1.29
6	18-8-1	სქელური საცირკულაციო ტუმბო ქ=10, კ=10მ, (ან მერი სიმძლ.) მონტაჟი დ=300მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: საქსელო საცირკულაციო ტუმბო სხვა მასალა	კომპლ ცალი ლარი		3.00 1 0.22	3.00 3.00 0.66		6.00	18.00		4.20 2.77	18.00 2.77
7	18-8-1	შემკვებელი ტუმბო შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: შემკვებელი ტუმბო სხვა მასალა	კომპლ კომპლ ლარი		1.00 1 0.39	1.00 1.00 0.39		6.00	6.00		4.20 1.64	6.00 1.64
8	18-6-1	შემკვებელი საფართობი ავზი V=300ლ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: საფართობი ავზი V=300ლ სხვა მასალა	ცალი კაც/სთ ლარი		1.00 3.8 0.22	1.00 3.80 0.22		6.00	22.80		4.20 0.92	22.80 0.92
9	16-12-2	ლითონის ვერტიკალი ბუროულიანი 750მ მონტაჟი შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა:	ცალი კაც/სთ ლარი		10.00 2.67 0.29	10.00 26.70 2.90		6.00	160.20		4.20 12.18	160.20 12.18
10		ვერტიკალი დ=630მ ვერტიკალი დ=750მ ლითონის მილტუნი კანტიკი კანით სხვა მასალა	ცალი ცალი ცალი კმ ლარი		6.00 4.00 2 2 0.2	60.00 80.00 20.00 20.00 2.00	360.00 320.00 60.00 100.00 6.00					360.00 320.00 60.00 100.00 6.00
11	16-13-1	ქვების დამცავი სარქველი დ=200მ შრომის დანახარჯები სხვა მანქანა მასალა: სარქველი დ=200მ ფილაის მილტუნი კანტიკი კანით სხვა მასალა	ცალი კაც/სთ ლარი		2.00 1.92 0.1	2.00 3.84 0.20		6.00	23.04		4.20 0.84	23.04 0.84
12	18-15-4	თერმომანიჟერი შრომის დანახარჯები მასალა: თერმომანიჟერი სხვა მასალა	ცალი კაც/სთ ლარი		2.00 0.31 0.62	2.00 0.62		6.00	3.72			3.72
13	18-15-5	აგრომატური პერგამენტები შრომის დანახარჯები მასალა:	ცალი კაც/სთ ლარი		4.00 0.13 0.52	4.00 0.52		6.00	3.12			3.12

1	2	3	საინჟინერო-სამშენობლო სამუშაოების აღმასრულებელი	1	4.00	15.00	60.00	10	11	12	13
		ავტომატური პერგამენტი	ცალი	0.02	0.08	3.00	0.24				60.00
		სხვა მასალა	ლარი								0.24
14	16-8-2	ღ=75მ ლითონის მილის მოწყობა ქვაბიდან კოლექტორამდე	მ		6						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.767	4.60			6.00	27.61		27.61
		სხვა მანქანა	ლარი	0.0521	0.31				4.20	1.31	1.31
		მასალა:									
		ღ=75მ ლითონის მილი	მ	1	6	15	90.00				90.00
		სხვა მასალა	ლარი	0.0344	0.21	3.00	0.62				0.62
15	16-24-6	მინარტიკოების პოლიეთილენის მილის ღ=75 მ შრომის დანახარჯები	გრძმ	1.4	12.00			4.00	67.20		67.20
		სხვა მანქანა	კაც/სი	0.0472	0.57				4.20	2.38	2.38
		მასალა:									
		პოლიეთილენის მილი ღ=75მ	გრძმ	0.974	11.69	20.00	233.76				233.76
		სხვა მასალა	ლარი	0.0425	0.51	3.00	1.53				1.53
16	16-24-3	დამკვლილისა და კანალიზაციის მოწყობა ღ=25მ პლასტმასის მილი	გრძმ		16.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	1.17	18.72			6.00	112.32		112.32
		სხვა მანქანა	ლარი	0.0172	0.28				4.20	1.16	1.16
		მასალა:									
		პლასტმასის მილი ღ=25მ	გრძმ	0.938	15.01	2.00	30.02				30.02
		სხვა მასალა	ლარი	0.0393	0.63	3.00	1.89				1.89
17		ლითონის და პლასტმასის ფასიური ნაწილები	ცალი		52.00	1.00	52.00				52.00
18		პლასტმასის ფასიური ნაწილები ღ=75მ	ცალი		12.00	10.00	120.00				120.00
19		ღ=63მ ცალმხრივი ხრახნის დადღეუბა არსებულ კოლექტორებზე	ცალი		6.00	5.00	30.00	15.00	90.00		120.00
20	20-12-2	დეფლექტორი ღ=100მ	ცალი		1.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	5.1	5.10			6.00	30.60		30.60
		სხვა მანქანა	ლარი	0.09	0.09				4.20	0.38	0.38
		მასალა:									
		დეფლექტორი	ცალი	1	1.00	20.00	20.00				20.00
		სხვა მასალა	ლარი	0.13	0.13	3.00	0.39				0.39
21	26-4-3	მილების ოხვლეცია ფოლგაიზოლიანი მინერალური შრომის დანახარჯები	მ	13.8	20.70			6.00	124.20		124.20
		სხვა მანქანა	კაც/სი	0.17	0.26				4.20	1.07	1.07
		მასალა:									
		ფოლგაიზოლიანი მინერალური ბამბა	მ	1.03	30.90	3.50	108.15				108.15
		შესაკრავი ზოლიანი	კმ	10.6	15.90	7.00	111.30				111.30
		მეთუელი	კმ	1	1.50	2.00	3.00				3.00
		სხვა მასალა	ლარი	0.9	1.35	3.00	4.05				4.05
22	8-17-3	საქვების სარკმულების ამოშენება სატიხრე ბლოკით და შეღებვა 2 მხრიდან	მ		2						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	1	2.00			6.00	12.00		12.00
		სხვა მანქანა	ლარი	0.0644	0.13				4.20	0.54	0.54
		მასალა:									
		ცემენტის ხსნარი მ50	მ	0.005	0.10	70	0.70				0.70
		სატიხრე ფილები	ც	10.875	21.75	1.1	23.93				23.93
		ხის ძედი	მ	0.001	0.002	600	1.20				1.20
		ნაჭედი	კმ	0.08	0.16	2	0.32				0.32
		ტოლი	მ	0.06	0.12	2	0.24				0.24
		სხვა მასალა	ლარი	0.0012	0.00	3.00	0.01				0.01
23	15-55-5-11	კედლების გაუმჯობესებული შეღებვა ცემენტის ხსნარით	მ		4.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.74	2.96			6.00	17.76		17.76
		ხსნარის ტუბი მ3/სი	მანქ/სი	0.0472	0.19				100.00	18.88	18.88
		სხვა მანქანა	ლარი	0.021	0.08				4.20	0.35	0.35
		მასალა:									
		ცემენტის ხსნარი E3	მ	0.0187	0.07	70.00	5.24				5.24
		ლითონის ბაქ	მ	0.0528	0.21	20.00	4.22				4.22
		სხვა მასალა	ლარი	0.003	0.01	3.00	0.04				0.04
		ჯამი					6,182.62	949.23		57.48	7,189.33
		მათ შორის: მოწყობილობა					4,300.00				4,300.00
		სამონტაჟო სამუშაოები					19.62	238.72		6.63	264.97
		ზედნადები ხარჯები	12%				741.91	113.91		6.90	862.72
		მთლიანი ჯამი					6,924.54	1,225.46		64.38	8,214.38
		მთლიანი ჯამი 2	8%				909.96	-	-	5.15	313.15
		ჯამი 2					7,134.50	1,323.50		69.53	8,527.53
		მათ შორის: მოწყობილობა									4,300.00
		სამშენობლო სამუშაოები									3,766.05
		სამონტაჟო სამუშაოები									461.48
		4. საქვების ელექტრომონტაჟი									
1	8-526-1	საქვების ელექტროლაფა ავტომატური გამომრთველი (3 სამკლავი/შაინი, 6 ერთკლავი/შა)	კომპლ		1.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	2	2.00			6.00	12.00		12.00
		სხვა მანქანა	ლარი	0.09	0.09				4.20	0.38	0.38
		მასალა:									
		ელ-ფარი	კომპლ	1	1.00	135.00	135.00				135.00
		სხვა მასალა	ლარი	1.36	1.36	3.00	4.08				4.08
2	8-417-1	პლასტმასის მილი ღ=15მ	გრძმ		60.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.26	15.60			6.00	93.60		93.60
		სხვა მანქანა	ლარი	0.12	7.32				4.20	30.74	30.74
		მასალა:									
		პლასტმასის მილი ღ=15მ	გრძმ	1.00	60.00	0.20	12.00				12.00
		სხვა მასალა	ლარი	0.08	4.92	3.00	14.76				14.76
3	8-603-1	ვარგარანაოთურანი სანათი "პლაფონი" სიმპლავრე 40	ცალი		1.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.63	0.63			6.00	3.78		3.78
		სხვა მანქანა	ლარი	0.009	0.01				4.20	0.04	0.04
		მასალა:									
		სანათი "პლაფონი"	ცალი	1	1.00	5.00	5.00				5.00
		სხვა მასალა	ლარი	0.671	0.67	3.00	2.01				2.01
4	8-591-3	ერთპოლუსიანი გამომრთველი 220ვ ძაბვაზე	ცალი		1.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.68	0.68			6.00	4.08		4.08
		სხვა მანქანა	ლარი	0.011	0.01				4.20	0.05	0.05
		მასალა:									
		გამომრთველი	ცალი	1	1.00	3.67	3.67				3.67
		სხვა მასალა	ლარი	0.103	0.10	3.00	0.31				0.31
5	8-591-8	სამშენობლო რობეტი შესაბამისი დამამუშავებელი	ცალი		1.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.34	0.34			6.00	2.04		2.04
		სხვა მანქანა	ლარი	0.013	0.01				4.20	0.05	0.05
		მასალა:									
		სამშენობლო რობეტი შესაბამისი დამამუშავებელი	ცალი	1	1.00	4.00	4.00				4.00
		სხვა მასალა	ლარი	0.094	0.09	3.00	0.28				0.28
6		ვარგარა ნაოთრა 40გრ	ცალი		1.00	1.22	1.22				1.22
7	8-149-1	საილუმინაციო კაბლის გატარება მილბუმი კვეთით 2X2.5მმ2	გრძმ		60.00						
		შრომის დანახარჯები	კაც/სი	0.11	6.60			6.00	39.60		39.60
		სხვა მანქანა	ლარი	0.00	0.18				4.20	0.76	0.76
		მასალა:									
		საილუმინაციო ორმაგი/ხოლავიანი მარდვიანი კაბელი კვეთით 2X2.5მმ2	გრძმ	1.00	60.00	2.00	120.00				120.00
		სხვა მასალა	ლარი	0.03	2.09	3.00	6.28				6.28

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
8	8-149-1	საილენის კამელის გატარება მიღებულ კვეთით 3X4მმ	გრძმ									
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.11	4.00				6.00	2.64		2.64
		სხვა მანქანა	ლარი	0.00	0.01					4.20	0.05	0.05
		მასალა:										
		საილენის ორმაგიზოლაციანი ძარღვიანი კაბელი კვეთით 3X4მმ	გრძმ	1.00	4.00	5.00	20.00					20.00
		სხვა მასალა	ლარი	0.03	0.14	3.00	0.42					0.42
9	8-149-1	ელდამწერის საფენის IX1 მმ მიყვანა თითოეულ	გრძმ		60.00							
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.11	6.60			4.00	26.40	4.20	0.76	26.40
		სხვა მანქანა	ლარი	0.00	0.18							0.76
		მასალა:										
		საილენის ორმაგიზოლაციანი ძარღვიანი კაბელი კვეთით IX1მმ	გრძმ	1.00	60.00	0.10	6.00					6.00
		სხვა მასალა	ლარი	0.03	2.09	3.00	6.28					6.28
10	8-525-3	ძაბვის ვარდისაგან დამცვეი ელაგერეგატის მოწოდება	ცალი		1.00							
		ელაგერეგატ										
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	2	2.00			6.00	12.00	4.20	0.29	12.00
		სხვა მანქანა	ლარი	0.07	0.07							0.29
		მასალა:										
		3 ფაზის დამცვეი ელაგერეგატი	ცალი	1	1.00	115.00	115.00					115.00
		სხვა მასალა	ლარი	2.04	2.04	3.00	6.12					6.12
		ჯამი							462.44	196.14	33.12	691.69
		ზედნადები ხარჯები ხელფასიდან		75%					147.11			147.11
		ჯამი							462.44			838.80
		მოგება		8%					36.99	-	2.65	67.10
		ჯამი 3							499.43	370.70	35.77	905.90
		4. თბოქსელი										
1	1-80-3	მიწის დამუშავება ხელი	მ		5.28							-
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	2.06	10.88			6.00	65.26			65.26
2	1-81-3	გრუნტის უკუჩურა ხელი	მ		4.18							-
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	1.21	5.06			6.00	30.35			30.35
3		გრუნტის დეტორთვა ხელი ა/მ	ტ		2.15							-
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.53	1.14			6.00	6.82			6.82
4		გრუნტის გატანა 20კმ-ზე	ტ		2.15					60.00	128.70	128.70
5	46-19-3	სამონტაჟო მავისტრალური ხერდის მოწოდება	ცალი		2.00							
		სკოლის და საქაბის კვედელზე										
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	1	2.00			6.00	12.00			12.00
		სხვა მანქანა	ლარი	0.493	0.99					4.20	4.14	4.14
6	რ 3-47	ხერდების ამოხება ცემენტით	მ		0.006							
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	90	0.54			6.00	3.24			3.24
		მასალა:										
		ცემენტის ხსნარი	მ	1	0.01	70.00	0.42					0.42
		სხვა მასალა	ლარი	0.05	0.00030	3.00	0.00090					0.00090
7	22-8-7	პლასტმასის გოფირებული მილის გაყვანა არხში	გრძმ		22.00							-
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.323	7.11			6.00	42.64	4.20	12.94	42.64
		სხვა მანქანა	ლარი	0.14	3.08							12.94
		მასალა:										
		პლასტმასის გოფირებული მილი დ=250მმ	გრძმ	1.01	22.22	25.00	555.50					555.50
		სხვა მასალა	ლარი	0.0142	0.31	3.00	0.94					0.94
8	22-8-2	პლასტმასის მინაბოტკოვანი მილის დ=75მმ გატარება	გრძმ		46.00							
		პლასტმასის გოფირებულ მილში										
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.105	4.83			6.00	28.98	4.20	10.39	28.98
		სხვა მანქანა	ლარი	0.0538	2.47							10.39
		მასალა:										
		პლასტმასის მილი დ=75მმ	გრძმ	1.01	46.46	20.00	929.20					929.20
		სხვა მასალა	ლარი	0.0012	0.06	3.00	0.17					0.17
9		პლასტმასის ფასონური ნაწილები დ=75მმ	ცალი		12.00	10.00	120.00					120.00
10		ღია თბოქსელის არხების ამოხება შრობადი ქაფით	ბალონი		2.00	15.00	30.00	1.00	2.00			32.00
11	26-4-3	თბოქსელის მიღების თბოიზოლაცია ფოლგაიზოლიანი მინერალური ბაზით	მ		0.50							
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	13.8	6.90			6.00	41.40	4.20	0.36	41.40
		სხვა მანქანა	ლარი	0.17	0.09							0.36
		მასალა:										
		ფოლგაიზოლიანი მინერალური ბაზა	მ	1.03	10.30	3.00	30.90					30.90
		შესაკრავი ზოდანა	კმ	10.6	5.30	7.00	37.10					37.10
		მეუფელი	კმ	1	0.50	2.00	1.00					1.00
		სხვა მასალა	ლარი	0.9	0.45	3.00	1.35					1.35
		ჯამი							1,706.57	232.68	156.53	2,095.79
		ზედნადები ხარჯები		10%					170.66	-	15.65	209.58
		ჯამი							1,877.23	-	172.18	2,305.37
		მოგება		8%					150.18	-	13.77	184.43
		ჯამი 4							2,027.41	-	185.96	2,489.79
		ჯამი 1+2+3+4							10,568.56	-	377.00	13,754.69
		გაუთვალისწინებელი ხარჯები		5%					528.43	140.46	18.85	687.73
		ჯამი							11,096.98	2,949.59	395.85	14,442.43
		დღგ		18%					1,997.46	530.93	71.25	2,599.64
		ჯამი							13,094.44	3,480.52	467.11	17,042.07
		ექსპერტიზის მომსახურების ღირებულება		2.20%								374.93
		სულ										17,416.99

შემსყიდველი:
სსიპ ქალაქ თბილისის N154 საჯარო სკოლა, წარმოდგენილი სკოლა

მიმწოდებელი:
შპს „გურამშენი“

გორგი გარსიამე
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი სალუქვაძე
დირექტორი